ხელშეკრულება №47
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (CPV კოდი-79625000)

ქ. თბილისი **14 ივლისი 2017 წელი**

ერთი მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია" ს.კ - 238775704 (შემდგომში "დამკვეთი") წარმოდგენილი მმართველი დირექტორის პაატა შალამბერიძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი" საიდ. კოდი ს/კ: 200280141 (შემდგომში "შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მაკა გვარამიას სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 ღონისძიებაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მივლენა და საჭიროების შემთხვევაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების განხორციელება (CPV კოდი-79625000).

2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1. სამედიცინო ბრიგადის დასწრების და სამედიცინო მომსახურების ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს, ხოლო სამედიცინო ბრიგადის 1 საათი დაყოვნების ღირებულება შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს.

2.2. მომსახურების ღირებულება ითვალისწინებს შემსრულებლის ყველა ხარჯს და გადასახადს.

3. ანგარიშწორების ფორმა და ვადები:

3.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, არაუმეტეს 10 დღის ვადაში, შემდეგ საბანკო ანგარიშზე: მიმღების ბანკი -სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22 , მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 741987499.

4. მიღება-ჩაბარების წესი:

4.1 დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს განხორციელებული მომსახურება და მისი ღირებულება.

4.2. შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სამედიცინო ბრიგადების მართვის სამსახურის უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

5. მომსახურების გაწევის ვადა:

5.1 შემსრულებელი მომსახურებას განახორციელებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, დამკვეთის წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, წერილში მითითებული პერიოდის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

6.1. დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

6.2. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს შემსრულებლისათვის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად გაუწიოს სამედიცინო მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და პირობებით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება:

7.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს დამკვეთი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის:

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მხარეები იტოვებენ უფლებას შეწყვიტონ ხელშეკრულება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა:

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.3 ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა:

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

3 Д

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი:

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დამკვეთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია"

მის: სამტრედია, რუსთაველის ქ. № 128

ს/კოდი - 238775704

მომსახურე ბანკი - საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი- BAGAGE22

ანგ № GE 06GB 000 0000 192267700

მმართველი დირექტორი პაატა შალამბერიძე

შემსრულებელი

სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"

ს/კ: 200280141

მის.: თბილისი, ქერჩის ქ. №8

დირექტორი მაკა ფცარაძე

მიღება-ჩაბარების აქტი N47/1

ქ. თბილისი 18.07.2017წ.

ერთი მხრივ, ა(ა)იპ "კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია" (ს/ნ 238775704, შემდგომში "დამკვეთი") დირექტორი პაატა შალამბერიძე, და მეორე მხრივ სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 200280141 - შემდგომში "შემსრულებელი") სამედიცინო ბრიგადების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ჩაჩანიძე, ხელმოწერებით ვადასტურებთ, რომ „შემსრულებელმა" შეასრულა, ხოლო „დამკვეთმა" მიიღო 2017 წლის 14 ივლისს გაფორმებული N47 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ: 2017 წლის 17,18 ივლისს გამართულ მმატჩზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურება, რომლის ღირებულებაც საერთო ჯამში შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

დირექტორი პაატა შალამბერიძე

სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"-ს
სამედიცინო ბრიგადების მართვის
სამსახურის უფროსი ზაზა ჩაჩანიძე

ა.ა.ი.პ. კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია

ს/კ 238775704

ინვოისი № 352

თარიღი 18.07.2017წ

მიმღები - სსიპ "სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"

ს/კ 200280141

მიმღების ბანკი სახელმწიფო ხაზინა

მიმღების დასახელება ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი TRESGE22

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 741987499

17, 18 ივლისს გამართულ თამაშზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ბრიგადის მომსახურება	500
მომსახურების ღირებულება სამედიცინო ბრიგადის მორიგეობა	

თანხა: ხუთასი ლარი

სსიპ"სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის"
სახელმწიფო შესყიდვებისა და საფინანსო-
საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ

თ.მაჭავარიანი

საგადახდო დავალება N1

რეფერენსი

5648027323

გადამხდელის დასახელება: ააიპ კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია

ანგარიში (დებეტი) GE06BG0000000192267700 (ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: ააიპ კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია

საიდენტ. კოდი 238775704

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 741987499 200122900 (ძველი ანგ.)

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი TRESGE22

გადახდის დანიშნულება: მომსახურების საფასური ინვოისი #352 ხელშეკრულება #47-ის საფუძველზე

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

თანხა

500-00

თანხა სიტყვებით

ხუთასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

წარდგენის თარიღი: 19.07.2017

მიღების თარიღი: 19.07.2017

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება განხორციელდება, მომდევნო სამუშაო დღეს

ხელმოწერა

შტამპის ადგილი